



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაქავარიანი ნუნუ ილიას ასული



ნ. ი. მაქავარიანი

მაქავარიანი ნუნუ ილიას ასული (27. II. 1898, თბილისი, – 5. IV. 1975, ცხინვალი), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართვ. დამს. არტისტი (1945). 1915-იდან სწავლობდა კიევის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტბე, 1913-15 – თბილ.

სამხატვრო სასწავლებელში, 1917-იდან – თბილისში, ქართ. დრამ. საზ-ბის დრამ. კურსებზე (თავისუფალი მსმენელი). სცენაზე პირველად გამოვიდა

ნაძალადევის მუშათა თეატრში (1918). მუშაობდა ქუთაისის (1920, 1924), დუშეთის (დრამწრე, 1921), ჭიათურის (1922), ბათუმის (1923) და თბილ. (1925) მუშათა თეატრებში; 1926 ისევ მიიწვიეს ქუთაისის თეატრში, სადაც ერთი წელი მუშაობდა კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით. 1929-იდან რუსთაველის, 1931-36 კი თბილ. კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობი იყო. შესრულებული როლები: ქაბატო, დიდედა (ა. ცაგარლის „ხანუმა“), რუქაია, გაიანე (ა. სუმბათაშვილის „დალატი“), კრუჩინინა (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), დებდემონა (უ. შექსპირის „ოტელო“), ივდითი (პ. გუცოვის „ურიელ აკოსტა“) და სხვ. 1937-55 მუშაობდა საქართვ. სხვადასხვა ქალაქში (ხულო, თელავი, ახალციხე, გორი) წამყვან მსახიობად; 1939-43 იყო საქართვ. ფილარმონიის ესტრადის მსახიობი; 1955 მიიწვიეს ცხინვალის თეატრში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. გადაღებულია ფილმებში: „ჭირვეული მეზობლები“



ნ. ი. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი .
თებრო. დ. წეროძე.
კადრი ფილმიდან
"მაგდანას ლურჯა".

(რეჟ. შ. მანაგაძე, 1945), „მაგდანას ლურჯა“ (თებრო; რეჟ-ები: თ. აბულაძე, რ. ჩხეიძე, 1955), „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ (ბებია; რეჟ. ს. დოლიძე, 1959), „კეთილი ადამიანები“ (რეჟ. შ. მანაგაძე, 1961), „ჭარისკაცის მამა“ (რეჟ. რ. ჩხეიძე, 1964), „შეხვედრა მთაში“ (რეჟ. ნ. სანიშვილი, 1966), „დიდოსტატის მარჯვენა“ (რეჟ-ები: ვ. ტაბლიაშვილი, დ. აბაშიძე, 1970), „მოიტაცეს თამარ ქალი“ (რეჟ. ლ. გორდელაძე, 1971), „მშვიდობით, ინესა!“ (რეჟ. ი. ასათიანი, 1972) და სხვ.
